

პირველი გამარჯვება

თბილისი. "დინამოს" სტადიონი. 9 მაისი.

"დინამო" (თბილისი) - "დინამო" (კიევი) 4:2 (0:1).

კიევი: მაკაროვი, სუჩკოვი, გოლუბევი, ეროხინი, ვოინოვი, ფეფლოვი (ბიბა), გრამატიკოპულო, ბალაკინი, კანევსკი, გოლოდეცი, ფომინი.

თბილისი: ს. კოტრიკაძე, ელოშვილი, ჩოხელი, ხოჭოლავა, ა. კოტრიკაძე, სიჭინავა, მელაშვილი, იამანიძე, კალოევი, ლოლობერიძე, მესხი.

ეს მატჩი კიევის "დინამოსთან" მნიშვნელოვანი იყო თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ გუნდს სამ ტურში სამი თამაში ჰქონდა წაგებული და მაქსიმალური ძალით იბრძოლებდნენ, რათა თავიდან აეცილებინა მეოთხე დამარცხება. მართლაც, კიეველებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ერთი ქულა მაინც აეღოთ, მაგრამ მხოლოდ მონდომებით თამაშის მოგება ძნელი საქმეა. თბილისის "დინამომ" სავსებით დამსახურებულად, სამართლიანად დაამარცხა მიწინააღმდეგე. კიეველთა ტაქტიკა კარგადაა ცნობილი. ბალაკინი, რომელსაც გარემარბის ნომერი აწერია ზურგზე, სინამდვილეში ნახევარმცველს თამაშობს, ხოლო ვოინოვს რთული და საპასუხისმგებლო საქმე აკისრია. მან უნდა უზრუნველყოს ბრძოლა მოედნის შუაგულში და საიერიშო ოპერაციებში შეავსოს უკან დაწეული შუამარბის დანაკლისი თავდასხმაში. ასეთი როლი შეიძლება მიენდოს მხოლოდ ისეთი მაღალი კლასის ფეხბურთელს, როგორც ვოინოვია, მაგრამ განვლილ თამაშში კიევის გუნდის გეგმა ხშირად იშლებოდა სწორედ იმის გამო, რომ ვოინოვს დრო არა ჰქონდა" წინა ხაზზე გასულიყო და თავდასხმაში ემოქმედა, სადაც რიცხოვრივი სიმცირის გარდა ამკარად იგრძნობოდა ფომინის სისუსტე.

თბილისის დინამოელებს ჩვენ ხშირად ვაყვედრით, რომ მათ არა აქვთ ბრძოლისუნარიანობა, მორალური სიმტკიცე და ერთიანობა. მაგრამ ამჯერად გუნდმა სწორედ ეს თვისებები გამოამჟღავნა და აჩვენა, რომ მას გააჩნია ნამდვილი მებრძოლი სული და სწრაფვა გამარჯვებისადმი. მატჩში ორჯერ შეიქმნა მდგომარეობა, როცა თბილისელებს ხელთ ეპყრათ თამაშის სადავეები, ბურთები კი სტუმრებს გაჰქონდათ და გუნდმა ორჯერვე შეძლო შეენარჩუნებინა თავისი რიგების მთლიანობა, მობილიზაცია გაუკეთა მთელ ძალებს და ყოველგვარი არეულობისა და პანიკის გარეშე იბრძოლა 90 წუთის განმავლობაში. ეს მეტად სასიხარულო ფაქტია. ასეთი სპორტული სიჯიუტე და ბრძოლისუნარიანობა გუნდს ყოველთვის წარმატებას მოუტანს მინდორზე.

სასიხარულოა ისიც, რომ მელაშვილმა შესანიშნავად ითამაშა მარჯვენა ფრთაზე - აქტიურად, მონდომებით და ხშირი გასვლით თავისუფალ ადგილებზე. მეტი დატვირთვა აიღო თავის თავზე მესხმაც, რომელიც ყოველთვის მზად იყო მიეღო ბურთი სხვადასხვა პოზიციაში. ამით საგრძნობლად გაუმჯობესდა ურთიერთობა თავდასხმაში, შესაძლებელი გახდა თამაში გრძელი გადაცემებით მინდვრის სიღრმიდან ფლანგებზე თავდამსხმელის ადგილების ცვლით.

ანგარიში გახსნეს კიეველებმა მე-17 წუთზე. მატჩის დებიუტი მთლიანად მათ კართან გათამაშდა, მაგრამ ერთ-ერთი მათი მცირერიცხოვანი შეტევა დამთავრდა

კანევესკისა და გრამატიკოპულოს კომბინაციით, რომელსაც მოჰყვა პირველი გოლი - 1:0.

მეორე ტაიმში ბრძოლამ კულმინაციას მიაღწია. იგი დაიწყო მასპინძელთა იერიშების სერიით და მელაშვილმა მე-18 წუთზე ბრწყინვალე დარტყმით გაიტანა გოლი, რომელიც დიდხანს ეხსომებათ მატჩზე დამსწრეებს - 1:1.

ერთი წუთის შემდეგ კიეველებმა კვლავ შეძლეს წინ გასვლა (ბურთი გაიტანა გოლოდევმა), მაგრამ 22-ე წუთზე ფეფლოვმა უხეშად ითამაშა იამანიძის წინააღმდეგ თავის საჯარიმო მოედანზე და ლოლობერიძემ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმიდან ხელახლა გაათანაბრა ანგარიში - 2:2.

ამის შემდეგ თამაში მთლიანად თბილისელებმა აიღეს ხელთ. გუნდი უტევდა მაღალ ტემპში, სწრაფად შეუფერხებლად და დამაჯერებლად. 29-ე წუთზე სტუმართა კართან ნამდვილი შტურმი წარიმართა და ლოლობერიძემ ოსტატური ბურთი გაიტანა მოტრიალებით - 3:2. მცირე ხანს შემდეგ მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობა დამთავრდა ახალი წარმატებით - მესხი დრიბლინგით გავიდა ფლანგზე და კარში დაარტყა. მაკაროვი მისწვდა ბურთს, მაგრამ ვერ შეაჩერა იგი და კალოევმა გაიტანა მეოთხე ბურთი.

თბილისის "დინამომ" გათამაშებაში მოიპოვა პირველი, მეტად საყურადღებო გამარჯვება ანგარიშით 4:2.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 4:1.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 10 მაისი, 1959 წ.